გ ი ვ ი
ა ლ ხ ა ზ ი შ ვ ი ლ ი

მ ო გ ო ნ ე ბ ა თ ა ქ ა ლ ა ქ ი

„საბჭოთა საქართველო“,
თბილისი, 1975

„მოგონებათა ქალაქი“ გივი ალხაზიშვილის ლექსების მეორე კრებულია. პოეტის ფიქრიანი თვალი სამშობლოს, ახალი სიმაღლეების დასაპყრობად შემართულ მშობლიურ ხალხს დასტრიალებს. პოეტის შემოქმედებითი ძიებები ბუნებრივად ერწყმის ქართული პოეზიის საუკეთესო ტრადიციებს.

* * *

ის შეერია მზესა და მიწას,
ის შეისრუტა შუქმა და ბინდმა,
ისე თანდათან შეისუნთქა
            შავმა ღრუბელმა
და შეიწოვა ფესვებმა ხეთა,
რომ აღარც მახსოვს,
            თვალთაგან ჩემთა
როდის,
    როდის გაუჩინარდა.
                1975

* * *

მთაზე ანთია გამთენიის
            პირველი წუთი,
ათასწლეულთა თრთოლვას აღვიძებს.
ამ გაზაფხულზე
მერამდენეჯრ ამობიბინდა
მხედარი,
    ცხენი,
            ფარი და
                ხმალი,
წყევლა და ლოცვა.

აი, მინდორი _
წინაპართა ბრძოლის ველი გაუქმებულა,
აი, მინდორი _
ჰორიზონტების ულურჯეს წრეში

შეგუბებულა მწვანე სინათლე.
1972

* * *

ნისლია ირგვლივ,
თითქოს მღვიმეში შევდივართ ჩუმად
და გეძებ ისევ.

ნისლია ირგვლივ, ნისლში მგზავრები
დაქანცული ფრინველებივით მიფარფატებენ.

მე ვხუჭავ თვალებს,
ვიხედები კედლების მიღმა
და ვაკვირდები საკუთარ სხეულს,
რომელიც სადღაც,
ჩაბჟუტული ნათურასავით,
გამოკიდულა ნისლიან ცაში.
1968

* * *

აყვავებული ცაცხვის სურნელი
ისევ მახსენებს
ბავშვობის დღეებს.
როცა თელავის სასაფლაოზე,
დამალობანას თამაშისას,
სულ პირველად გავიფიქრე:
_ მეც შეიძლება მოვკვდე!

იქვე, საფლავზე,
დედაბერი გამხმარ მიწას აფხვიერებდა.
დედაბრის ხელი
მიწისფერი იყო იმდენად,
რომ მოძრაობა განასხვავებდა
ხელს მიწისაგან.

აყვავებული ცაცხვის სურნელით
გაჟღენთილია დღეს ჩემი ქუჩა.
1974

დ ე კ ე მ ბ რ ი ს ე რ თ ი დ ღ ე

I
დიდი ხანია,
გარეუბნის გორაკებიდან
ჩუმად მოცოცავს თოვლის ზოლი
ქალაქისაკენ
და შემოდგომა
უკანასკნელ
ბოლო ფოთლებს
ებღაუჭება.
დიდი ხანია,
აწუხებს ქალაქს
ნაცრისფერ დღეთა ერთფეროვნება,
დიდი ხანია,
გათოშილი ქარების ხროვა
ღმუის ფანჯრებთან.
ისევ იგივე პეიზაჟი _
რუხი სახლები,
გადაბელილი ხეების რიგი,
ვით ქვესკნელიდან ამოწვდილი
ურიცხვი ხელი,
ისევ აცოცხლებს უძველეს სურათს
და ფესვების მარადისობას.

. . .
იგი უმზერდა შებინდებისას,
როგორ ავსებდა ქალაქის ქუჩებს
ხმაურისა და რკინის მდინარე,
როგორ გარბოდა შემკრთალი ხალხი
მანქანების ფარების შუქზე,
სურდა ეყვირა,
ეღრიალა:
საით, კურდღლებო?!
მაგრამ კვლავ დუმდა,
რადგანაც გრძნობდა,
ბრინჯისფერი ცა
რა სიმძიმით
აწვა მხრებზე ადამიანებს
(რადგან ახოვდა, საცოდავი ნაცარქექია
რა უმწეოდ ასავსავებდა უძლურ კიდურებს,

როცა დევების კეცი დაემხო

და მიდიოდა ოთხ კედელში
            შეგუბებული სიჩუმისაკენ _
                ერთადერთი სიმყუდროვისკენ
თბილი პურით და
            ჩაძინებული ბავშვით ხელში.

II
ბჟუტავდა ფიქრი
და ბოლოს მიხვდა:
როგორც ნათურა
ბურუსიანი ზამთრის მორევში,
ისიც თავისთავს ანათებდა მარტოოდენ...
1973

* * *

კედელი,
    ოთხი კედელი,
თვალები კეთილი,
კარი ჩაკეტილი,
მუსიკა ჰენდელის,
            კედელი.
მუსიკა უღრანებს
            კი გაგონებს,
მაგრამ მეზობელი
            კოდალა გიკაკუნებს _
                გამორთე რადიო.
                კედელი.
1973

* * *

ბროლის ლარნაკში
სათბურის ვარდი _
გაცვეთილია რითმა და დარდი.
ყალბია მზერა,
ყალბია ნოტი,
ხელოვნურია ნაძვის ხის ტოტი.
და ყოველივე, რაც ასე მბოჭავს,

ბავშვის თვალებში ზღაპრულად მოჩანს.
1973

თ ვ ა ლ ი

ჩემს სამყაროში ჩუმად,
ჩუმად შემოეხეტა
ფხიზელი თვალი,
გაყინული და დამცინავი,
შემოეხეტა და ილუზიის ფერად ბუშტებს

დაფშვნილი შუშა შემოაყარა.

გაუჩინარდნენ ფერები,
ირგვლივ
ნაცრისფერი ხედები ჩანდა,
ტროლეიბუსის გაჩერებასთან
მოქალაქენი,
ხოლო ხეზე
შოშიები აბუზულიყვნენ
და სიცივეს თავიანთ თავში ემალებოდნენ.
1975

ი ს ი კ ა ვ ა ტ ა კ უ ბ ო კ უ ს

რა გვიან მივხვდი,
რომ ის კიბე,
რომელზედაც ავდიოდი მრავალი წელი,
კიბე კი არა,
ერთადერთი საფეხურია.
1972

ზ ო ო პ ა რ კ ი

აქ ცხოვრობს ახლა
ჯუნგლების მეფე
და შუაღამით,
როცა მისი ბრდღვინვა გაისმის _
გაეღვიძება მეძებარ ძაღლებს,

ბულდოგებს,
    დოგებს,
            სეტერს,
                ფინიას
და ფანჯრებიდან ისმის ყეფა გამთენიამდე:
_ ვინ გაიგონა ზოოპარკი შუა ქალაქში?
_ ვინ გააღვიძა ჯეკა,
                ჩიკო,
                ჯულბარსი,
                ჯინა?
ოროთახიან გალიაში ბოლთას სცემს მეფე
და მიტოვებულ სამშობლოს სძინავს.
                1972

* * *

    ჩანს ციხე-კოშკი _
            ლაჟვარდების თეთრი კუნძული _
თვალის გუგაში,
    როგორც ცრემლი ამობურცული.
აღარცა ლეკი, არც სპარსელი...
            აღარც "ჰკა მაგას",
ოდესღაც ჯარი
            ირაკლიმ აქ დააბანაკა.
სიმშვიდე სუფევს,
            ვაყურადებ დუმილს გესლიანს,
ისმის სროლის ხმა,
            ალბათ სეტყვის ღრუბელს ესვრიან.
                1973

* * *

ეკლესიაში დარეკეს ზარი
და მდუმარებას,
            სადაც ჩემი გული უცემდა,
იქ, უხილავი გაუჩნდა ბზარი
ისე უეცრად და უცაბედად,
რომ ამოსუნთქვა ვეღარ შევძელი,
გაყინულ თვალებს ვეღარ ვახელდი,
მე შევყურებდი ბელტზე შეზელილ
ძვლებს წინაპრისას და ვცახცახებდი.

და გული,
როგორც სროლის წინ ვაზნა,
წამზე ეკიდა შიშით და ღელვით,
როცა ფოთოლი ბებერმა ვაზმა
გულზე დამადო,
ვით დედის ხელი.

1975

ი ა ხ ს ა რ ი

უცნაურია შენი ტკივილი,
ის ჰგავს კედელზე
ამოსულ ბალახს...
. . .

შენ უნდა გქონდეს
ბალახის სიჯიუტე, –
ხედავ, რამდენი საუკუნეა,
თიბავენ და მაინც ამოდის.

1974

* * *

აყვავებული ატმის ტოტივით,
ბალახებივით,
დილის ვარდივით –
გაჟღენთილია ძველი მოტივი
მზით,
ჰარმონიით
და სიმარტოვით.
ჩამოუქროლა მტვრიან მოედნებს,
ააგუგუნა ძველი შაირი
და ჩაბნელებულ ფანჯრებს მოედო
ვით ნაწვიმარი ბაღის ჰაერი.
ბედნიერი და მიუწვდომელი
და მოზეიმე თვალი მაჟორის
კიაფობს როგორც კენტი ცთომილი
შავი ღრუბლიდან გამონაჟონი.
და მღერის თვალი: არის საშველი.
თვალი ბავშვია, მზერით გაერთო,
და ჩვილის ხელებს ცისკენ გაშვერილს

შევყურებ,
როგორც ღვთიურ კამერტონს.

1974

ყ ო რ ღ ა ნ ი მ ხ ე დ ა რ ი

გულგანგმირული დევის დროშები –
ყვავების გუნდი ნება–ნება დაბლა დაეშვა
და ახლა ქარი დროგამოშვებით
არწევს ქაჯეთის ციხის კაეშანს.

და როგორც ნედლი შეშის შიშინი,
რაღაც ჩაგესმის ბუნდოვანი და ირინდები
და გრძნობ თვალებში წვება შიშივით,
სიზმრად ხილული ლაბირინთები.

რისთვის მოხვედი ნეტა ყორღანზე...
შენ მიატოვე სასახლე და ცივი გრანიტი,
რომ შენს სხეულში აგუგუნდეს როგორც ორღანი
შემოდგომური წყნარი ამინდი.

რომ ზეციური ხმების მოსმენის
დიდი სურვილი მიძინებულ თვალებს გიხელდეს,
სანამ ველებზე დაეშვება საღამოსფერი –
ბინდი ჩაგძირავს და მოგიხელთებს.

რომ ახმიანდეს, როგორც უღრანი,
ძველი სისხლი და ძველი ამბავი,
სული – მგლებისგან გამოუხრავი,
ხორცი – მტრებისგან აუკაფავი.

გულგანგმირული დევის დროშები –
ყორნების გუნდი ნება–ნება დაბლა დაეშვა,
და ახლა ქარი დროგამოშვებით
არწევს ქაჯეთის ციხის კაეშანს.

1973

* * *

უცხო ფრინველმა ფრთა გაჭკრა ზარებს,

გამოეღვიძა, ატირდა ბავშვი,
შემოდიოდა ოთახში მთვარე
და სახლი ნელა მიჰქონდა ცაში.

შეხედა კედელს და ცრემლნარევი
მზერა გამოკრთა ნისლიან შუქად
და ძველ კედელზე შავი ბზარები
მოჩანდა, როგორც მსოფლიოს რუკა.

ღამე იყო და თვლემდა მამული,
ღამე იყო და ტიროდა ბავშვი
და ვარსკვლავებით გადანამული
ცა ბიბინებდა ცრემლიან თვალში.

1974

* * *

რომ არ მელოდე,
არ მიხმობდე
იქ,
ხმაურის ოკეანეში,
აქ დავრჩებოდი და მოვუსმენდი თვალდახუჭული,
როგორ აგრძელებს ლელიანი
მთვლემარე ტბის იდუმალ შრიალს,
მაგრამ შენ მიხმობ
და ნაპირი მოცურავს ჩემკენ,
ამ სიმშვიდეში მე მომენატრა
ხმამაღალი სიცილი შენი,
ამ სიმშვიდეში უფრო კარგად გავიგონებ
შენს გულისცემას,
ჩურჩულს,
სიხარულს.
იქ კი, ქალაქში, ხმამაღალი სიცილი შენი
უფრო ჩუმია, ვიდრე წვიმის წვეთის დაცემა.

1971

დ ა შ ვ ე ბ ა

(ანტუან დე სენტ–ეკზიუპერს)

გაუჩინარდნენ თოვლიანი პირამიდები –
უსპეტაკესი კენწერონი
                    მამულის ჩვენის,
ლაჟვარდოვანი სიმსუბუქე
                    სამშობლოს ცისა
და უღრანები
დილის ნისლით გადაბარდნილი.
გაქრა მირაჟი,
                    თვითმფრინავი დაეშვა ქვევით,
აჰა, გამოჩნდა
ვერცხლისფერი აბლაბუდა დიდი ქალაქის,
როგორ ციმციმებს მილიონი სინათლის წვეთი...
მე ვხუჭავ თვალებს,
და მეჩვენება,
შორს, ძალიან შორს
                    მოლისფერი სიღრმეებიდან
ისევ გამორბის კისრისტეხით
                    ჩემი გოგონა
და თვითმფრინავს ხელს უქნევს ლაღად,
აქამდე წვდება მისი სუსტი, სხივივით ხელი,
საყელოზე მეჭიდება,
                    მანჯღრევს, მამხნევებს.
ვეშვებით დაბლა...
                    მიწა...
                    ო, მიწა...
მე ვუბრუნდები ჩემს სამყოფელს,
                    სამსახურს, ქალაქს,
თან საუღლე ქედს ვისინჯავ
. . .   გამხდარი ხელით.
გაუჩინარდნენ თოვლიანი პირამიდები.

1973

* * *

უცხო მცენარე აღმოცენდა სხეულში თითქოს,
და ბედისწერის სიახლოვეს მივხვდი გუმანით,
დაირწა ტოტი,
                    გაიფოთლა,
                    სივრცეებს ითხოვს –
„მოეც სინათლე“ –
                    ჩამჩურჩულებს ხმა იდუმალი.

რისთვის მახსენებს გაზაფხული გარდუვალ კავშირს
დედამიწასთან,
თითქოს მიწა მეძახის მაშვრალს,
შუაღამეა, თამბაქოს და ფიქრების კვამლში,
ვგრძნობ ნეტარ ტკივილს,
როგორც ხეზე ყვავილის გაშლას.

1972

მ ე გ ო ბ რ ი ს ხ ს ო ვ ნ ა ს

მივაბიჯებდით გაუქმებულ სასაფლაოზე
და გაცვეთილი საფლავის ქვები,
როგორც მდუმარი კლავიშები –
ჩამქრალი ხმები
აღარ ისმოდა,
ამაქვეყნის თვლემდა ქაოსი.
მყუდროებაში ირწეოდა დამჭკნარი ტოტი,
ვით გახსენება,
რომ დრო – აქაც მალულად მიდის,
მყუდროებაში მზის ამოსვლას მღეროდა ჩიტი
და ხვიარებში წარსულივით მოჩანდა ლოდი.

აქ,
ამ მიწაში ასწლოვანი ცაცხვის ფესვები,
გრილი მკლავებით ეხვევიან,
სწყურიათ ვიდრე
მოგონებათა ქალაქის მკვიდრებს,
მე კი მათ ფოთლებს ვეალერსები.

არავინაა აქ გამგები შენეულ ამბის,
თუმცა ვინ უწყის, მიწიერო, იქნებ გელოდნენ,
მაშ, ვინ გააბა ქვესკნელიდან ხის კენწერომდე
ჭიანჭველების მცოცავი ძაფი?

ასწლოვან ხეზე,
ცაცხვის ხეზე ყვავი ფრიალებს,
მოჩანს საყდარი ხავსიანი და შერუჯული
და ისე ისმის ჩვენი ჩურჩული,
მდუმარებაში –
როგორც წყვილი ეჟვნის წკრიალი.

1970

ა ვ ა დ მ ყ ო ფ ო ბ ა

თითქოს ფესვები მეზრდება ცისკენ.

მწვერვალებს შორის
გაბმულია სხივები მზისა
და ზეციური არფის სიმებს
ეფერებიან ანგელოსები.
ისმის მუსიკა,
ცის მუსიკა,
ქრება მიწა,
ვშორდები მიწას
და მეუფლება ამოთხრილი
ნერგის ტკივილი.
თითქოს ფესვები მეზრდება ცისკენ.

1968

თ ო ვ ლ ი ს ს ო ფ ე ლ ი

ედიშერ ყიფიანს, შოთა ჩანტლაძეს, ყარამან კიკვიძეს

I
წამოიჩიტნენ ვარსკვლავები თებერვლის ცაზე,
დათოვლილ ველზე
და მნათობის ძველმა სიმღერამ
გამომიტყუა ბუნაგიდან და მთელი ღამე,
გათოშილ გზებზე, უგზო–უკვლოდ მაბორიალა.

მიმაცილებდა უხილავის მარადი მზერა
(მის მზერას ვგრძნობდი ყოველი მხრიდან),
მივაბიჯებდი ისე ფრთხილად,
რომ მესმოდა ჰაერის სუნთქვა
და ყინულოვან მდინარეთა ძარღვების ფეთქვა.

აქ, ამ ხეებში, გარინდულა ღვთიური ცეცხლი,
ეს თოვლიანი ველ–მინდვრებიც სიზმარია –

გაზაფხულზე რომ აუსრულდება მდინარეებს,
აღმუვლდებიან,
                    შეიგრძნობენ უნაპირობას
და ყინულეთის უსპეტაკეს სამოსელიდან
გამოანათებს დედამიწის ფხიზელი თვალი.
. . .
მე ვეფერები გახსენებულ ძვირფას სახეებს,
მარად არსებულს,
                    მივიწყებულს და მგლოვიარეს,
განათებულა ჩაძინებულ ძმათა თვალები;
მე ვხედავ ცხადლივ,
წმინდა თვალთა თანავარსკვლავედს
და ისე ფრთხილად მივაბიჯებ,
                    რომ მესმის
როგორ სუნთქავს ჰაერი.
ზამთრის ძილქუში დასცემია საბრალო სოფელს,
გადაბარდნილა ხეივნები,
                    ზვრები,
                    ბაღები
და ამ სოფელში აღარ არის თითქოს სოფელი,
აქ ცხოვრობს თოვლი,
                    თოვლი,
                    თვლემა,
                    თვლემა
                    და თოვლი.
(მდუმარებაში ბუბუნებენ ჩამქრალი ხმები...)

. . .
ნაცარწაყრილი ნაკვერჩხლის თვლემა
უცებ გაღვივდა ჭოტის თვალებში,
აჩქამდა ტოტი,
                    წამოფრინდა,
შეეხმიანა მეგობარს თვისას
და უფრო ძლიერ გაიყურსა შემოგარენი.

II

სუსხი,
                ოდეს სუსხი მიგვაქანებს
                    თოვლის სოფლისკენ
და უძლურ სხეულს

ეუფლება ყინვის ეკლები,
შეიკუმშება ოდეს მზერა
ზამთრის ბურუსით
და შიშველ კისერს შემოწვდება
ყინულის სალტე –
დავხუჭავ თვალებს,
და ჩვენს ოტებულ საკრებულოს
ვუმზერ შორიდან.

ხის კენწეროზე შესკუპებულ
ბალღის თვალებში
შეიპარება ლაჟვარდოვან გუმბათის სიღრმე,
მოსტაცებს მზერას სანახები,
სახურავები,
თოვლიან მთებთან გაფოფრილი
ღრუბლების თვლემა,
მაგრამ უეცრად შექანდება
ცაცხვის კენწერო
და მოქანავე ტოტს შემკრთალი
ჩაეხუტება.
აი, იმ ბალღის გულისცემა
მომესმა ახლა
იმ სიმაღლიდან,
იმ სიშორიდან მე დავინახე,
გაოგნებული და უმწეო თვალები შიშის
ბებერი ცაცხვის კენწეროდან შემომყურებდა,
როგორც უცხოს და მოღალატეს.

აი, იმ ბალღის გულისცემა
მესმის, უფალო,
და ნება–ნება მივაბიჯებ
თოვლის სოფლისკენ.

1973

თ ვ ლ ე მ ა

ყვავილთა მძაფრი
სურნელებით გაბრუებული
გულაღმა წევხარ
და მიჰყვები მზის მდინარებას...

დაბერილია კვირტებივით,
შენი სხეულის ყველა უჯრედი,
გატრუნულია
                  და მოლივლივე ფსკერს აყურადებს.
ახლად გაფოთლილ მცენარეთა
ნორჩი სიმწვანე,
                  ცა ლაჟვარდი
                  წვეთავს თვალებში
და გუბდება სხეულში თრთოლვა.
აფუებული მიწის სუნთქვა
გაყინულ სახეს ელამუნება
და დედამიწის ღონიერი არტერიიდან
შენს ძარღვებში
                  მოჩქეფს სისხლი მდინარესავით
და იტოტება ასიათას ნაკადულებად.
ყვავილთა მძაფრი
                  სურნელებით გაბრუებული
გულაღმა წევხარ
                  და უერთდები
                  მიწას თანდათან,
ისე მსუბუქად,
                  უნეტარესად,
რომ გეზარება თვალის გახელა.

1974

* * *

უკაცრიელი უდაბნოს მკვიდრო,
დღეს მერამდენედ მეორდება
                  შენი სიზმარი?!

სპილენძისფერი კლდეები
და აყვავებული იელის ბუჩქი თითქოს შემოდის
შენს სენაკში, ჩუმად შემოდის –
ისე მსუბუქად მოირწევა, ვითარცა კვამლი
თვალუწვდენელი მინდვრებიდან ტყეებისაკენ.

ნეტა ვიცოდე,
                  შენთვისაა მხოლოდ ხილული –
თუ სხვაც ხედავ კლდეთა ხომალდებს.
რა უცნაური სიმსუბუქით მოირწევიან,

იელის ბუჩქებს დროშებივით აფრიალებენ
და შემოგარენს ეფინება ყვითელი ფერი.

1972

* * *

მოჩანს ნაცრისფერი გალავანი,
რკალი ჰორიზონტის გალავანთა,
მიდის ღრუბელთა ქარავანი –
ხევში გადაჩეხილ ქარავანთან.

რამდენი წუღა–ქალამანი
გაცვითე, ბოლოს აქ მოხვედი –
აი, მაღალი გალავანი –
პასუხი სულის ამბოხების.

ცუდის ნიშანია გაყუჩება,
თუმცა თავიდანვე ხომ იცოდი,
მზერას მოუჭერდა მარყუჟივით
ხმალთა მოვარდნილი ჰორიზონტი.

(მზე სამზეოში გადავიდა,
მეჩვენება, თითქოს სხვაგანა ვარ),
ვინ გადაგახედებს გალავნიდან,
ვინღა დაგანახებს სხვა გალავანს.

1971

* * *

როცა სრულიად საქართველოს ბაღნარებიდან
მწვანე ნერგების
ამოთხრილი ტყეები მოდის
დიდი ქალაქის ბაზრებისაკენ,
როცა მაღალი სახლების წინ
რგავენ ხეებს –
მტკაველ მიწაზე –
მე მეჩვენება,
რომ ნაღვლიან სანთლებს უნთებენ
სოფლის ჭალებში მიტოვებულ ბავშვობის დღეებს.

1973

რ ო მ ა უ ლ ი ქ ა ნ დ ა კ ე ბ ა

ის ცოცხალია,
სუნთქვაშეკრული დგას და
უძველეს ღაღადისს უსმენს,
მიშტერებია გაოგნებული
მარტოდენ მისთვის ხილულ სამყაროს.

მეტყველი მზერა,
თვალებში ცეცხლი
და ბაგეებზე შეყინული
ორიოდ სიტყვა:
„გლადიუს დეი“.

ის ცოცხალია,
სუნთქვაშეკრული
კბილებით იჭერს
ამაყ გრიგალებს...

ის ცოცხალია,
სადაცაა გადმოაბიჯებს
და შეგუბებულ საუკუნეებს
ამოისუნთქავს.

1973

* * *

რისთვის დამჩხავი,
ყვავო ყვანჩალა,
თოფის ლულაზე რომ დაფრინდე,
მაინც არ გესვრი,
ხელს აგიქნევ და მოგიშორებ.
რისთვის დამჩხავი,
ყვავო ყვანჩალა,
თუმცა ჟამი–ჟამ
შენი ჩხავილიც უნდა ისმოდეს
ავადმყოფი ხის კენწეროდან
და შენი თალხიც დაფარფატებდეს
ლაჟვარდოვან სივრცეთა ფონზე.
მზე ამოდის,
გაზაფხულის მომღერალ ტყეში,
გადამავიწყა ჩემი „ბერდინკა“,

პაპის ხანჯალი და ნადირობა
აყვავებული ასკილის ბუჩქმა.
რა ბედენაა ყვავის ჩხავილი,
როცა ადრეულ ბალახებიდან
შვლის თვალებივით გამოკრთის წყარო,
როცა ფრინველთა უთვალავი სალამური
ეგებება მზის მობრძანებას.

1974

სამი ელეგია

ვუძღვნი კომპოზიტორ ერეკლე ჯაბადარს

1. მოგონებათა ქალაქი

მოდიდებული მდინარესავით
მოედინება,
მოდის, მოდის;
ყოველწლიურად
ყოველდღიურად
ყოველ წუთში,
ყოველ წამში ახლოვდება –
აჰა, საცაა შემოანგრევს
ალაყაფის კარს და წალეკავს
ჩვენს სიხარულს, ჩვენს მწუხარებას
და ამ შენობებს, როგორც უვარგის დეკორაციებს,
გადაყრის სადმე, გადათელავს პარკებს, ხეივნებს
და დაფეხვილ კომედიანტებს
ტრაგედიის ფსკერზე ჩაძირავს.
თუმცა ჯერ ისევ ხომ იგივე ღრიანცელია,
ნეონის შუქზე რომ სავსავებს
და ის საბრალო – კონტრაბასივით მიჰყუდებია
მდუმარებით დანაღმულ კედელს,
იგი დუმს ისევ, ხმას არ იღებს
და მოთმინებით ელოდება ხემის შეხებას.
– ხემის გარეშე ხმას ვერ გაიღებ
და მარტოოდენ ის დაგრჩენია,
რომ მოთმინებით უცქირო, ხეზე,
ტოტებს შორის,
როგორ ხლართავს შენს ფიქრს ობობა
და უხილავ ძაფზე ქანაობს.

ცარიელია შენი ქალაქი,
დიაღ, იგი ცარიელია,
სად გაფრენილან მგალობელნი,
ცაცხვის ხეებზე რომ მღეროდნენ
წმინდა სიმღერას.
შემოდგომის მზე
შენს თვალებში ცრემლივით ბრწყინავს
და შენი ცრემლი
მზის სხივივით ანთია ჩემთვის.

*

გესმის თუ არა მდინარის ხმები,
თითქოს გადმოდის ნაპირზე ტალღა,
ასწლოვან ხეებს მოაქანებს,
მოდის,
მოდის,
ყოველწლიურად,
ყოველდღიურად,
ყოველ წუთში,
ყოველ წამში ახლოვდება,
აჰა, საცაა შემოანგრევს
ქალაქის კედლებს,
შეატორტმანებს მაღალ სართულებს,
ზამბარასავით დაგრეხავს ქუჩებს,
(ვაი, საბრალო ჭიანჭველების ბუდე,
სიმშვიდის მაძიებელთა ბედი.)
თუმცა ჯერ მხოლოდ
ხმები მოისმის,
მაგრამ ჩემი გრძნეული თვალი
წყლით სავსე ჯამში
ხედავს ყველაფერს:
გზა იქით მიდის,
სადაც იგი მიდიოდა
დასაბამიდან,
მაგრამ თქვენ მაინც მიაბოტებთ
და საკუთარ კვალს
ტკეპნით თავიდან.
აქ თქვენ ყოფილხართ უთვალავჯერ,
გაზომილია ყოველი გოჯი
და დედამიწის ყველა ნამცეცი
თქვენი ფერფლია.

გესმით თუ არა,
მდინარესავით მოედინება –
აჰა, საცაა შემოანგრევს
ქალაქის კედლებს
და შეიცვლება
დროებითი დეკორაცია.
. . .
შემოდგომის მზე
შენს თვალებში
ცრემლივით ბრწყინავს
და შენი ცრემლი
მზის სხივივით ანთია ჩემთვის.

2. სიმარტოვე აისბერგივით

არავინაა ხმის გამცემი –
ასწლოვან ხეზე ამოსული ხავსის სიჩუმე
ჩაბუდებულა მაღალ კედლებში,
უმოძრაოა, პატარა ბაღი
და ღამურები მიმწუხრის ფსკერზე,
თითქოს ჩვენს ეჭვებს აფრიალებენ:
ნუთუ, ძვირფასო,
სიბნელეში გარინდული ბერი ტაძარი,
დღეს მარტოოდენ –
ღამეულ ზღვაში მოხეტიალე
მდუმარების აისბერგია?!
ხედავ, რა წყნარად გვიახლოვდება
საუკუნეთა სიღრმეებიდან
ამოზრდილი ამაოება,
ან რა სიმძიმით გვაწვება მხრებზე
შორეული წარსულის ლანდი?!
ამაზრზენია ეს საღამო,
დღეს შენი მზერა –
უმეციხოვნო სათოფურივით
მისჩერებია ერთ უძრავ ადგილს.

3. სიზმარი, ფოთოლცვენა, კვირადღე

დასრულდა ქუჩა
                  და მოედანთან
აისბერგივით წამოიმართა

ბებერი სახლის
მძიმე ფასადი.
– უცხოა,
თითქოს ჩამესმა ყურში –
უცხოა,
უცხო და ამაზრზენი,
ღია ფანჯრების პირქუში მზერა –
უფსკრულებივით უძირო და ჩაბნელებული.
როგორც ქალაქში
დაკარგული სოფლელი ბალღი,
თვალებს ვაცეცებ,
დაბნეული მივხეტიალობ –
თითქოს ქალაქის მთელი სიმძიმე
მხარზე მომკიდეს
და ძლივსძლივობით მივათრევ
ბაღის მყუდროებისკენ.
აი, ის კიბეც –
სიბნელეში მიტოვებული,
ვით გარდაცვლილი ავადმყოფის
კარდეოგრამა,
ვიღაც მიბობღავს იმ კიბეზე
და შემოდგომის უწყინარ ფოთლებს
გულდასმით ხვეტავს,
რომ მერე სადღაც,
მიგდებული ბაღის კუნჭულში
დაანთოს ცეცხლი
და უთვალავი ლამაზი ფერი
გაანაცრისფროს.
ვიღაც მიბობღავს
იმ ქვეყნიდან
მობრუნებული,
რომ ხელმეორედ გაიაროს
ერთიბეწო გზის მონაკვეთი
იგივე შიშით,
ხიფათით
და ეჭვიანობით
დამალული ბრინჯაოს შუბი
ისევ უჩუმრად მიიტანოს სასაფლაომდე.
უწყინარია ის არსება და უხმაურო,
მხოლოდ საკუთარ სურვილებს ებრძვის
დასაბამიდან დასასრულამდე.

– უცხოა –
                  თითქოს ჩამესმის ყურში...
უცნობის ხელი
მომხვეოდა ხელზე გველივით,
უცნობის ხელი მიმათრევდა მოედნისაკენ
და მარშის ხმაზე მასწავლიდა
                  მწყობრად სიარულს.
როცა დაღლილი ფეხს მივითრევდი,
დაკოჭლებული მარში ფეხებში მებორკებოდა –
დაჟანგული მავთულხლართივით –
მხოლოდ ხანდახან, ოდეს ნისლიდან
ჭილყვავების ბუდეებით დამძიმებული
მეჩხერი ტევრი აღიმართება,
რა სიმსუბუქით მაღლდება
                  ზეცა კენწეროებზე
და რა შემკრთალი მიჰყვება მზერა
მემილიარდედ აღმოჩენილ უსასრულობას.
აი, ცისფერი კარუსელი
                  ბრუნავს და ბრუნავს
თავბრუდამხვევი ორომტრიალი
ამ კვირა დღესაც ეწევა ქვევით,
ოკეანის ბნელი ფსკერისკენ,
რომ მერე ისევ ლიფსიტასავით
                  ამოაგდოს წყლის ზედაპირზე
და დაანახოს ხმელეთი წამით.

*

მარადის ვგრძნობდი
                  მის სიახლოვეს,
მის მაჯისცემას მოვკრავდი ყურს და
საკუთარისგან ვეღარ ვარჩევდი.
ზოგჯერ
          უკუნეთ სიბნელეში
          მიმალული მითვალთვალებდა
და გარინდებულს მახსენებდა
          ამასოფლის წარმავალობას,
დღეს კი,
        დღეს ღამით
                  თითქოს გაცოცხლდა,
ორიოდ წამით მივიწყებული
                  უცნობის სახე,

თითქოს კი არა,
მეოცნებე თვალებიდან გადმოაბიჯა
და განათებულ კუთხეში დადგა
ხელგამოწვდილი.
გაოგნებული შევყურებდი –
ვინ არის იგი –
მობორიალე ხილული შიში
თუ უძველესი ქანდაკება მოციქულისა
სიმშვიდისათვის მოვლინებული?!
ის იდგა უბრად,
თითქოს ჩემგან ელოდა პასუხს,
მდუმარე მზერა აღვიძებდა
მითვლემილ ეჭვებს,
ობობასავით დაცოცავდა ბებერი ეჭვი
და შიშის ძაფებს ჩუმად ხლართავდა.
მარადის ვგრძნობდი მის სიახლოვეს
დღეს კი,
დღეს ღამით
მე გამოვძერწე
თიხადქცეული მეომრიდან
პოეტის სახე
მეტყველი და დაუსაბამო,
იგი დგას ახლა
განათებულ კუთხეში უბრად
ხელგამოწვდილი
და თავდახრილი.

1973

თ ვ ა ლ ი

ჩემს საუფლოში ჩუმად,
ჩუმად შემოეხეტა
ფხიზელი თვალი
გაყინული და დამცინავი,
შემოეხეტა და ილუზიის ფერად ბუშტებს
(მე რომ ვბერავდი,
ოცნებებით აუხდენელით)
დაფშვნილი შუშა შემოაყარა.
გაუჩინარდნენ ფერები,
ირგვლივ

ნაცრისფერი ხედები ჩანდა,
ტროლეიბუსის გაჩერებასთან
                    მოქალაქენი,
ხოლო ხეზე
          შოშიები აბუზულიყვნენ
და სიცივეს თავიანთ თავში ემალებოდნენ.

1975

* * *

კენწეროებმა საღამო იგრძნეს,
ჩამავალი მზის დასრულდა რკალი
და ჭილყვავებით ამღვრეულ სივრცეს
თანდათანობით ეჩვევა თვალი...

გასული წელი მოვა თავიდან
იგივე ფიქრით,
          სულ სხვა სახელით,
ჟამი, რომელიც შენთვის გავიდა,
შეეყინება თვალებს გახელილს.

ხელს აგაფარებს თვალებზე შიში
და შემოგახვევს ყინვის ნარ–ეკალს,
ზეცაში, როგორც სამყაროს ტვინში
მოულოდნელი ზარი დარეკავს.

გარინდებული და ფიქრიანი
მიდიხარ, თითქოს მიწას შორდება,
უკან მოგდევენ სტვენით,
                ღრიალით
აღარასოდეს განმეორდები.

თუ „სიყვარული ზღვების ქაფია“,
სიძულვილიც ხომ ქაფია ზღვების,
შორიდან ისმის ყალბი კაფია
სხვათა და სხვათა,
სხვების და სხვების.

კენწეროებმა საღამო იგრძნეს,
გათოშილი მზის მკრთალდება რკალი
და ჭილყვავებით ამღვრეულ სივრცეს,

თანდათანობით ეჩვევა თვალი.

1970